ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დაგეგმილი ატესტაციისა და კონკურსის ერთ-ერთი ეტაპის - ტესტირების პროცედურული ინსტრუქცია

მოგესალმებით,

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანია გაეცნოთ სისტემას, რომლის მეშვეობითაც გაივლით ტესტირებას.

ტესტირების დაწყებამდე უნდა გაეცნოთ წესებს, რომლებსაც დაინახავთ მონიტორზე - წესების წაკითხვის შესაბამისი აღნიშვნით უნდა დაადასტუროთ, რომ გაეცანით და ეთანხმებით ამ ინფორმაციას.

პირადი მონაცემების შეყვანას შეძლებთ მხოლოდ დათანხმების შემდეგ.



ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების ტესტირება

წესები, რომლებიც გამოსაცდელმა უნდა დაიცვას ტესტირების პროცესში

- გთხოვთ, ნუ დააწყობთ მერხზე რაიმე ნივთს, პირადობის მოწმობის, გელიანი კალმის, (რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ) შავი სამუშაოსთვის განკუთვნილი ფურცლის და გამორთული მობილური ტელეფონის გარდა (წყალი, პლასტმასის ბოთლით, შეგიძლიათ დადგათ იატაკზე);
- გამოცდა მიმდინარეობს 2 ასტრონომიული საათის განმავლობაში. ტესტი შედგება კითხვის (დავალების) და 4 სავარაუდო პასუხისაგან, რომელთაგან უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი;
- ტესტირების დაწებამდე მონიტორზე დაინახავთ წესების ჩამონათვალს - გთხოვთ, ყურადღებით გაეცანით ამ ინფორმაციას და შესაბამისი აღნიშვნით დაადასტურეთ, რომ გაეცანით და ეთანხმებით წესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებთ პირადი ინფორმაციის შეტანას ტესტირების დასაწყებად.
- ტესტზე მუშაობის დასაწყებად მონიტორზე, შესაბამის ველში ჩაწერთ თქვენს პირად ნომერს (თერთმეტნიშნა რიცხვს), ხოლო მეთვალყურე მეორე ველში შეიტანს უნიკალურ კოდს (პაროლს). ამ პროცედურის დასრულების შემდეგ, იწყება საგამოცდო დროის ათვლა. მონიტორზე იქნება ტაიმერი, რომელიც მოგცემთ საგამოცდო დროის კონტროლის შესაძლებლობას;

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ტესტირების პროცესში არ შეიძლება:

- დამხმარე მასალის გამოყენება, საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება, ნებისმიერი ფორმით დახმარების მცდელობა;
- გამოცდის დასრულებამდე 30 წუთით, შემდეგ კი 15 წუთით ადრე მეთვალყურე შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა;
- თუ დროზე ადრე დაასრულებთ ტესტზე მუშაობას, გექნებათ შესაძლებლობა გადახედოთ ნამუშევარს და თუ ჩათვლით, რომ ყველა შეკითხვას უპასუხეთ, აუცილებლად უნდა მონიშნოთ (მიაჭიროთ) "დასრულება"-ის ღილაკს, რის შემდეგაც დაინახავთ შეფასებას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ - თუ ტესტირების დასრულების შემდეგ არ დააჭერთ ღილაკს „დასრულება", ვერ მიიღებთ შეფასებას;
- ტესტირების დასრულების შემდეგ (შეფასების მიღების) შემდეგ ხელის აწევით მიმართეთ მეთვალყურეს, რომელიც დადგენილი წესით ჩაიბარებს შავი სამუშაოსთვის განკუთვნილ ფურცელს და უწყისში გადაიტანს თქვენს შეფასებას. უწყისში, თქვენი შეფასების გასწვრივ აუცილებლად უნდა მოაწეროთ ხელი. საგამოცდო პროცესი ამით დასრულებული იქნება;

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ:

- მეთვალყურეს მხოლოდ ხელის აწევით შეგიძლიათ მიმართოთ;
- არ შეიძლება დამხმარე მასალის, მობილური ტელეფონის გამოყენება.
- მეთვალყურე ვალდებულია გაგაფრთხილოთ ყველა ზემოთ აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში.
- ერთი გაფრთხილების შემდეგ, იგივე ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მეთვალყურე ვალდებულია მონაწილე მოხსნასგამოცდიდან.

გავეცანი და ვეთანხმები წესებს ☑

სისტემაში შესვლა

ტესტირების დასაწყებად შეიტანეთ აპლიკანტის

პირადი ნომერი 0101010101

კოდი

შესვლა

გვარი სახელი

გისურვებთ წარმატებას!

მონიტორზე, შესაბამის ველში შეიყვანთ პირად (თერთმეტნიშნა) ნომერს. პირადი ნომრის სწორად შეტანის შემდეგ სისტემა ეკრანზე გამოიტანს თქვენს სახელსა და გვარს.

უნიკალურ კოდს შეიყვანს მეთვალყურე. შესვლის ღილაკლზე დაჭერის შემდეგ შეგიძლიათ დაიწყოთ ტესტირება.

ეკრანზე დაინახავთ დავალებას და 4 სავარაუდო პასუხს.



ეკრანის ზედა ნაწილზე ჩანს თქვენი სახლი, გვარი; აგრეთვე ტაიმერი, რომელიც საგამოცდო დროის კონტროლის შესაძლებლობას მოგცემთ და ტესტირების დასრულების ღილაკი.

ეკრანის ქვედა ნაწილში არის ველი, სადაც ჩანს, რომელ დავალებას გაეცით პასუხი და რომელს არა. პასუხგაცემულ დავალებას აქვს შესაბამისი აღნიშვნა და განსხვავებული ფერისაა.

დავალების წაკითხვის შემდეგ უნდა მონიშნოთ ერთ-ერთი, თქვენი აზრით სწორი პასუხი და შემდეგი დავალების სანახავად დააჭიროთ ისარს ეკრანის მარჯვენა ნაწილში (შეგიძლიათ არ მონიშნოთ არც ერთი პასუხი და ისე გადახვიდეთ შემდეგ დავალებაზე, ამ კონკრეტულ დავალებას კი მიუბრუნდეთ მოგვიანებით).
შეგიძლიათ ტესტირების დროის ამოწურვამდე დაუბრუნდეთ თქვენთვის სასურველ დავალებას და აირჩიოთ, გადაამოწმოთ ან შეცვალოთ პასუხი.
ტესტირების დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა დააჭიროთ შესაბამის ღილაკს ეკრანის ზედა მარჯვენა ნაწილში - წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ვერ მიიღებთ შეფასებას (ნუ მიაჭერთ ამ ღილაკს ტესტირების მსვლელობისას, რადგან ასეთ შემთხვევაში ვეღარ შეძლებთ ტესტირების გაგრძელებას).

ღილაკზე დაჭერის შემდეგ დაინახავთ შედეგს (მიღებულ ქულას).

საბოლოო შეფასების მიღებისთანავე დაუძახეთ მეთვალყურეს, რომელიც შესაბამის ოქმში შეიტანს თქვენს შედეგს.

გისურვებთ წარმატებას!